

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

რიგარეშე სხდომის

ოქმი # 2

ქ. ონი

15. 07. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 9 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, გოჩა მეტრეველი, ვანო ბაღაშვილი, გივი მეტრეველი, გელა მეტრეველი, სონია გუგუშაშვილი, ვასილ მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: ნოდარ ბურდილაძე, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ჩლაიძე.

სხდომას ესწრებოდნენ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ალ. კერვალიშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი შორენა ბიძიშვილი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.2019 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჩთა-შეუბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შესახებ.

მომხსენებელი-შორენა ბიძიშვილი-ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. 2019 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჩთა-შეუბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შესახებ.

მომხსენებელი-შორენა ბიძიშვილი-ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი 2019 წელს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჩთა-შეუბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შესახებ და განმარტა, რომ სოფელ ლაჩთა-შეუბანის მისასვლელი და შიდა საუბნო გზის დაახლოებით 2,5 კმ. მონაკვეთი ძლიერ დაზიანებულია, გამწვანებულია ავტომობილთა გადაადგილება, დარღვეულია მოძრაობის უსაფრთხოება. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს თავისუფალ და უსაფრთხო გადაადგილებას, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას და მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური პროექტებში ჩართულობას. ისარგებლებს დაახლოებით 1 500 ბენეფიციარს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე